5793783931794

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობის, მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის, მტკიცებულებების გამოთხოვისა და საქმის განხილვის საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ

საქმე № 3/9482-19

16 დეკემბერი, 2019 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნანა აფციაური

მოსარჩელე - გიგა ჩოხელი

მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დავის საგანი - ,,დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 აპრილის № 2-354 ბრძანების ბათილად ცნობა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სარჩელის სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2019 წლის 11 დეკემბერს გიგა ჩოხელის წარმომადგენელმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ,,დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 აპრილის № 2-354 ბრძანების ბათილად ცნობა .

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 445-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26^2-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს და ამ ეტაპზე, დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. ამასთან, საქმეზე უნდა დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნეს ,,დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 აპრილის № 2-354 ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას 5 თვემდე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-13, მე-19, 26^2-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 177-ე, 178-ე, 205-ე, 284-ე, 285-ე, 445-ე, 448-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გიგა ჩოხელის სარჩელი მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ ,,დუშეთისა და ყაზბეგის

მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 აპრილის № 2-354 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში.

2. ამ ეტაპზე, სარჩელი დასაშვებად იქნეს ცნობილი.

3. №3/9482-19 ადმინისტრაციულ საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდეს 5 თვემდე.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 და 448-ე მუხლებით დადგენილი წესით დაიწყოს საქმის მომზადება, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გაეგზავნოს მოპასუხე მხარეს.

5. მოპასუხე მხარეს დაევალოს, სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, წარმოადგინონ წერილობითი პასუხი (შესაგებელი).

6. მოპასუხე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნეს ,,დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 25 აპრილის № 2-354 ბრძანების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალა.

7. მოსამზადებელი სხდომა დაინიშნოს 2020 წლის 7 მაისს, 11.30 საათზე, რის შესახებაც ეცნობოთ მხარეებს კანონით დადგენილი წესით (სხდომის დარბაზი №41).

8. განჩინება მტკიცებულებათა გამოთხოვის ნაწილში ცალკე არ საჩივრდება.

9. დანარჩენ ნაწილში განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე **ნანა აფციაური**